

აზიზ მამედოვი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბილინგვური სწავლების შეფასებისათვის

აბსტრაქტი

ჩამოყალიბებული და ტესტირებულია მოსწავლეების ბილინგვური სწავლები-სადმი ახალი, არამკაფიო ლოგიკური დასკვნის მეთოდის გამოყენებაზე დაფუძნებული მიდგომა. ბილინგვური მეცადინეობის ალტერნატიული შეფასებისთვის ამორჩეულია შეფასებითი კრიტერიუმების ბლოკი, რომლებითაც დაკვირვების შესაბამისი აღნიშვნების საფუძველზე ხდება მთლიანად აუდიტორიის, კონკრეტული მოსწავლისა და მასწავლებლის შეფასება.

საკვანძო სიტყვები: ბილინგვური სწავლება, შეფასების კრიტერიუმი, არამკაფიო სიმრავლე, არამკაფიო დასკვნა.

შესავალი

ბილინგვური განათლება, რომელიც თავის თავში აერთიანებს სწავლების შინაარსობრივ ნაწილს და ბუნებრივ ენებს, გარკვეულწილად, ძალიან “მგრძნობიარე” და “დელიკატური” პროცესია. მისი დანერგვისა და შემდგომი განხორციელებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ზიანი არ

მიადგეს მოსწავლის არსებულ ცოდნასა და წინსვლით განვითარებას, მის ინტელექტუალურ პოტენციალსა და თანდაყოლილ ნიჭს. ამიტომ, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, აქ ადგილი აქვს ორ თვალსაზრისს და ძირითად პრობლემას: როგორ უზრუნველვყოთ მოსწავლის ცოდნის აუცილებელი აკადემიური დონე მეორე

(არამშობლიურ) ენაზე მისი სწავლებისას და როგორ შეფასდეს ადეკვატურად მის მიერ შეძენილი უნარები კონკრეტულ საგანში და მისი პროგრესი მეორე ენის ათვისებაში?

შეფასების არსებული მეთოდოლოგიით, პრაქტიკულად, შეუძლებელია მოსწავლისთვის სწავლების ენობრივი და შინაარსობრივი შემადგენლების მიხედვით განცალკევებულად ატესტაციის ჩატარება. ამ დროს შესაძლოა მოხდეს გაუგებრობა, როცა მოსწავლის ლექსიკური მარაგის სიმცირე საგნის არსის მის მიერ ბოლომდე ვერგაგების საფუძველად აღიქვან. თვალსაჩინოა, რომ ბილინგვური სწავლებისას გონივრული იქნებოდა მოსწავლის შეფასება ორი სპეციალისტის – შინაარსობრივ ნაწილში - საგნის მცოდნის, ენობრივ ნაწილში კი - მეორე ენის მასწავლებლის მიერ. მაგრამ ასეთი მიდგომა მაინც ხელოვნურია, უაღრესად რთული განსახორციელებელია და, საბოლოო ჯამში, მოსწავლეების მხრიდან ინტერესს არ იწვევს.

უფრო მეტიც, პარალელური შეფასება ბილინგვურ სწავლებაში

დაუშვებელია ძალიან მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური თვალსაზრისით: საგნებში, სადაც ენობრივი მომზადება ასე მნიშვნელოვანი არაა (მაგალითად, მათემატიკაში), მოსწავლემ, რომელიც ადვილად ხსნის მაგალითებს, ენის არასაკმარისი ცოდნის გამო შეიძლება არასწორი ინტერპრეტაცია გაუკეთოს ამოცანის პირობას, განსაკუთრებით, თუ ამოცანა მკაფიოდ არაა ჩამოყალიბებული ან პირობაში მისთვის უცნობი სიტყვებია. მაგალითად, არასწორად დასმულმა მძიმემ შეიძლება საფუძველშივე შეცვალოს წინადადების არსი.

ტესტირება, რომელსაც შეფასებისთვის იყენებენ საპილოტე საგანმანათლებლო დაწესებულებებში, გამარტივებულ ფორმულირებას იყენებს ტესტში, რომელიც პასუხის ერთმნიშვნელოვან არჩევანს ვარაუდობს “დიახ” – “არა” თანრიგიდან. მაგრამ, სამწუხაროდ, შეფასების ეს ხერხი მოსწავლის ცოდნის ნამდვილ დონეზე მხოლოდ მიახლოებით შეფასებას იძლევა, მით უმეტეს, რომ ტესტირების პროცესს თან სდევს შემთხვევითობის ელემენტი და ამით სრული

ობიექტურობა უზრუნველყოფილი ვერ იქნება. ამიტომ, მხოლოდ ალტერნატიული შეფასების სისტემას შეუძლია შექმნილი ენობრივი უნარების დონის შეფასება საგნის მიხედვით ძირითადი დიდაქტიკური მასალის ათვისების კონტექსტში.

ბილინგვური სწავლების პრაქტიკაში ალტერნატიულ შეფასებად მიჩნეულია სწავლების პროცესის მსვლელობაში შესრულებული მოქმედების შესაბამისი შეფასებითი კრიტერიუმების სისტემა (ალიევი, 2005, გვ. 297). ასეთი შეფასებითი სისტემის ერთ-ერთ მოხერხებულ მექანიზმად განიხილება მოსწავლის “სამუშაო საქაღალდე” ანუ, როგორც მას სხვაგვარად უწოდებენ, “პორტფოლიო”, რომელშიც მოსწავლე თვითონ აგროვებს საკუთარ წერით ნამუშევრებს, დავალებებს, ტექსტებს.

ბილინგვურ სასწავლო დაწესებულებაში მოსწავლის ალტერნატიული შეფასების ერთ-ერთ ხერხად სტატიაში შემოთავაზებულია არამკაფიო ლოგიკური დასკვნის მექანიზმის, რომელიც დღევანდელი გაურკვევლობის პირობებში, ალტერნატივების მრავალ-

კრიტერიუმიანი შეფასების ერთ-ერთი საუკეთესო მეთოდია. ამ მიდგომის წყალობით, გამოთვლით პროცესში ჩვეულებრივი რიცხვების გვერდით ხერხდება არამეტრიზებული (ანუ სუსტად სტრუქტურირებული) მონაცემების ჩართვა, რომლებითაც, უეჭველია, ბილინგვური სწავლების ხარისხის შეფასების პროცესი გამოირჩევა.

ამოცანის დასმა

დავუშვათ, რომ რომელიმე საგნობრივ გაკვეთილზე საკლასო ოთახში ტარდება ლინგვისტური არაერთგვაროვნებით გამორჩეული მეცადინეობა. ამ მეცადინეობის ალტერნატიული შეფასებისთვის ავირჩიოთ შეფასებითი კრიტერიუმების ბლოკი, რომელიც შემდეგი ოთხი ნაწილისგან შედგება:

აუდიტორიის შეფასება მთლიანობაში;

კონკრეტული მოსწავლის შეფასება ჯამური მეცადინეობის დროს;

თავად მასწავლებლის შეფასება;

ჩატარებული მეცადინეობის მასწავლებლის თვითშეფასების ვარიანტები,

ამათგან თითოეულზე მოცემულია დაკვირვებების შესაბამისი აღნიშვნები (იხ. ცხრილი #1, #2 და #3). მაშინ აუცილებელია ამ კრიტერიუმების ბაზაზე ალტერნატიული შეფასების მექანიზმის შექმნა, რომელიც დაფუძნებულია შეფასების მისაწვდომი

ინფორმაციის უზუსტობისა და არამკაფიოობის პირობებში, არამკაფიო ლოგიკური დასკვნის მექანიზმის გამოყენებაზე, დამუშავებასა და ამით ბილინგვური მეცადინეობისთვის აგრეგირებული შეფასების მიღებაზე.

ცხრილი. #1. აუდიტორიის შეფასება მთლიანობაში

I ნაწილი						
მასწავლებლის სახელი			დაკვირვების თარიღი			
აუდიტორიაში მოსწავლეების რაოდენობა			დაკვირვების დრო			
დამკვირვებლის სახელი			აგრეგირებული შეფასება			
II ნაწილი (10-ბალიან სკალაზე შეფასებული აქტიურობა მცირე ჯგუფებში მუშაობისას)						
ჯგუფის პირობ. აღნიშ.	საუბრობენ მუშაობისას	მუშაობენ მასალაზე	კითხულობენ, წერენ	უყურებენ, უსმენენ	არაფერს არ აკეთებენ	ელიან დახმარებას გარედან
a1						
a2						
...						
an						
III ნაწილი (მცირე ჯგუფების გარდა მოქმედებენ სპეციალური დავალების შესაბამისად)						
კრიტერიუმები	უსმენენ მასწავლებელს	დაკავებული არიან	ელიან დახმარებას მასწავლებლისგან	ოცნებობენ, ერთობიან, უსაქმურობენ		
მოსწავლეთა რაოდენობა						

ცხრილი #2. ქვეჯგუფის შემადგენლობაში მომუშავე კონკრეტული მოსწავლის შეფასება

აქტივობები ზეპირმეტყველების მიმართულებით					
პირ. აღნ.	გამოთქვამს შეთავაზებებს (თავაზობს თანამშრომლობას) ორივე ენაზე	გამოთქვამს თხოვნას, დართონ თანამშრომლობის ნება _ ორივე ენაზე ან მხოლოდ მშობლიურზე	ლაპარაკობს, როგორც “შემამსუბუქებელი” მოქმედება, უხსნის სხვებს მათი თხოვნის გარეშე _ ორივე ენაზე ან მხოლოდ მშობლიურზე	ლაპარაკობს ჯგუფური მუშაობის დროს _ ორივე ენაზე ან მშობლიურზე	ლაპარაკობს ჯგუფური მუშაობის დროს (ლაპარაკობს გარეშე თემებზე) _ მშობლიურ ენაზე
u1					
u2					
u3					
u4					

მოქმედებები ან ქცევა								
პირ. აღნ.	მუშა-ობს მარ-ტო	მუშაობს სხვებთან ერთად	მოქმედებს, როგორც მუშაობის „შემამსუბუქებელი“ (ასრულებს სამუშაოს დიდ ნაწილს)	შეისწავლის (უსმენს)	ემებს დახმარებას გარედან	მერყეობს კეთების სურვილსა და დახმარების ძებნას შორის	კითხულობს რაიმეს, შესაძლოა, მეცადინეობასთან არც იყოს დაკავშირებული (ჩვეულებრივ, მშობლიურ ენაზე)	უსაქმურობს, მუშაობა არ უნდა
u1								
u2								
u3								
u4								

ცხრილი #.3. მასწავლებლის შეფასება

№№ მ/მ	მოქმედების სახე	შემთხვევების რიცხვი	ჯამი
1.	მოსწავლეს ამოცანას უადვილებს		
2.	აძლევს შენიშვნას დიციპლინაზე (მოსწავლეს ან მთლიანად აუდიტორიას)		
3.	აძლევს ინფორმაციას, ინსტრუქციას, განსაზღვრებას		
4.	იძლევა შეკითხვებს ფაქტოლოგიის მიხედვით		
5.	ხელს უწყობს უფრო მაღალი რიგის აზროვნებას		
6.	ააშკარავებს და ახმოვანებს საგანთა შორის კავშირებს		
7.	აძლევს დამატებით ინფორმაციას (მასალას) ჯგუფს ან ცალკეულ მოსწავლეს		
8.	იძლევა დასაბუთებას ერთობლივად მუშაობის აუცილებლობაზე		
9.	აუმჯობესებს კომპეტენტურობის ხარისხს		
10.	ლაპარაკობს ჯგუფში მეცადინეობისთვის სხვადასხვა როლების აუცილებლობაზე		
11.	ხსნის, რატომ არ შეუძლია ერთ ადამიანს ჯგუფისთვის შეთავაზებული დავალების შესრულება		

მოსწავლეთა ჯგუფის შეფასება ბილინგვური სწავლებისას

ზემოთ განხილული იყო ალტერნატივების წერტილოვანი შეფასების ამოცანა მისაწვდომი არაზუსტი ინფორმაციის პირობებში. მოცემული მეთოდოლოგიის გამოყენების საფუძველზე, მივიღებთ ბილინგვური გაკვეთილის შეფასებას მთლიანად ქვეჯგუფებისადმი და ჯგუფის გარეთ სპეციალური დავალებით დაკავებული მოსწავლეებისადმი შეფასების თვალსაზრისით.

ასე, დავუშვათ, რომ ბილინგვური სწავლების რომელიღაც

აკადემიურ ჯგუფში კონკრეტულ საგანში მეცადინეობის მსვლელობაში მეთოდისტმა მონიტორინგის ჯგუფის შემადგენლობიდან ჩაატარა თავისი დაკვირვებები ქვეჯგუფის შემადგენლობაში მოსწავლეთა ქცევის (აქტივობის) შესახებ და მოაწესრიგა თავისი შეფასებები ათბალიანი სკალის მიხედვით (ცხრილი #4-ის სახით). განხილულ შემთხვევაში მოსწავლეთა ქვეჯგუფები ალტერნატივებია, რომლებიც აღნიშნულია a1, a2, a3 და a4-ით.

ცხრილი #4. მოსწავლეთა აქტიურობის შეფასება მცირე ჯგუფებში მუშაობისას

პირ. აღნ.	საუბრობენ მუშაობისას (არსებითად)	მუშაობენ მასალასთან (ინტენსიურად)	კითხულობენ, წერენ (ნაყოფიერად)	უყურებენ, უსმენენ (ყურადღებით)	არაფერს არ აკეთებენ (ხშირად)	ელიან დახმარებას გარედან (მუდმივად)
a1	2	10	7	8	0	0
a2	5	8	6	10	0	2
a3	8	5	5	7	4	5
a4	10	3	2	5	7	8

ამ შემთხვევაში, ბილინგვური სწავლებისას ქვეჯგუფის აქტივობის რიცხვითი (წერტილოვანი) შეფასები-

სთვის საფუძვლად ავირჩიოთ შემდეგი არაწინააღმდეგობრივი მსჯელობანი:

- ე1: “თუ მოსწავლეები ქვეჯგუფის შემადგენლობაში მუშაობისას

არსებითად საუბრობდნენ და ამასთან ერთად მუშაობდნენ დიდაქტიკურ მასალასთან, საჭიროების დროს კი უყურებდნენ მასწავლებელს და უსმენდნენ, მაშინ მეცადინეობის დროს მათი აქტიურობა დამაკმაყოფილებელია”;

- ე2: “თუ მოსწავლეები მეცადინეობის მთელი პროცესის განმავლობაში საქმიანად იყვნენ მთელი ხანგრძლივობისას ჩართულნი და გარედან დახმარებას არ ელოდნენ, მაშინ მეცადინეობის დროს მათი აქტიურობა დამაკმაყოფილებელზე მეტია”;
- ე3: “თუ ე2-ში ნათქვამ პირობებზე დამატებით, მოსწავლეები თავიანთი ქვეჯგუფის შემადგენლობაში მონაცვლეობით კითხულობდნენ და წერდნენ, მაშინ მეცადინეობის დროს მათი აკადემიური აქტიურობა წუნდაუდებელია”;
- ე4: “თუ მოსწავლეები ქვეჯგუფის შემადგენლობაში საუბრობდნენ, თან მუშაობდნენ და,

იმდროულად, მუშაობდნენ დიდაქტიკურ მასალასთან, მონაცვლეობით კი კითხვებს სვამდნენ და წერდნენ, საჭიროების შემთხვევაში უყურებდნენ მასწავლებელს და უსმენდნენ, მეცადინეობის განმავლობაში იშვიათად უსაქმურობდნენ, მაგრამ, ამასთან ერთად, გარედან დახმარებას მიმართავდნენ, მაშინ მეცადინეობის დროს მათი აქტიურობა დამაკმაყოფილებელია”;

- ე5: “თუ მოსწავლეები ქვეჯგუფის შემადგენლობაში მუშაობისას არსებითად საუბრობდნენ და, ამასთან ერთად, მუშაობდნენ დიდაქტიკურ მასალასთან, ნაყოფიერად კითხულობდნენ და წერდნენ, ყოველთვის არ უყურებდნენ მასწავლებელს და უსმენდნენ მას, მეცადინეობის მთელი ხანგრძლივობისას იშვიათად უსაქმურობდნენ, მაგრამ, ამასთან ერთად, ხშირად მიმართავდნენ გარედან დახმარებას, მაშინ მეცადინეობის დროს მათი აქტიურობა მაინც დამაკმაყოფილებელია”;

- ენ: “თუ მოსწავლეები ქვეჯგუფის შემადგენლობაში არ მუშაობდნენ დიდაქტი-კურ მასალასთან, არ უყურებდნენ და არ უსმენდნენ მასწავლებელს და უსაქმურობდნენ, მაშინ მათი აკადემიური აქტიურობა, რასაკვირველია, არადადამაკმაყოფილებელია”.

ჩატარებული გამოთვლების შედეგად დადგენილია ბილინგვური გაკვეთილის წერტილოვანი შეფასებები ქვეჯგუფისთვის:

s1 – 0,5092;

s2 – 0,5408;

s3 – 0,4776;

s4 – 0,4821.

ბილინგვურ მეცადინეობებში საუკეთესოა მე-2 ქვეჯგუფი, რომელსაც შეესაბამება უმაღლესი წერტილოვანი შეფასება – 0,5408. შემდეგ კლებადობის მიხედვით: s1 – 0,5092; s4 – 0,4821; s3 – 0,4776.

ახლა განვიხილოთ და შევაფასოთ სხვა მეთოდისტიკის დაკვირვებები, რომელიც ბილინგვური მეცადინეობის განმავლობაში აფიქსირებდა იმას, თუ როგორ მოქმედებდნენ მოსწავლეები, რომლებსაც სპეციალური დავალება მისცეს. მისი დაკვირვებანი შეჯამებულია შემდეგ ცხრილში:

ცხრილი #5. მოქმედთა შეფასება მცირე ჯგუფების გარეშე სპეციალური დავალების შესაბამისად

კრიტერიუმები	უსმენენ მასწავლებელს	დაკავებულია	ელიან დახმარებას მასწავლებლისგან	ოცნობენ, ერთობიან, უსაქმურობენ
მოსწავლეთა რაოდენობა	10-დან 6	10-დან 8	10-დან 7	10-დან 2

ბილინგვური მეცადინეობის პროცესში მოსწავლეთა აღნიშნული კატეგორიის შესაფასებლად ვისარგებლოთ შემდეგი, საკმაოდ ტრივი-ალური, მაგრამ ამავე დროს არაწინააღმდეგობრივი და ობიექტური გამოთქმებით:

ე1: “თუ ბილინგვურ მეცადინეობის პროცესში მასწავლებელს უსმენს მოსწავლეების უმნიშვნელო რაოდენობა, დაკავებულთა საერთო რაოდენობა დაბალია, ბევრი მუდმივად ელოდება და მიმართავს მასწავლებლის დახმარებას, სრულიად უმოქმედოთა რაოდენობა კი მნიშვნელოვანია, მაშინ

ბილინგვური გაკვეთილის ხარისხი არადამაკმაყოფილებელია”;

ე2: “თუ მასწავლებელს უსმენს მოსწავლეების ნახევარი, დაკავებულთა საერთო რაოდენობა ნახევარზე მეტია, ცოტანი ელოდებიან და მიმართავენ მასწავლებლის დახმარებას, სრულიად უმოქმედოთა რაოდენობა კი მაღალი არაა, მაშინ ბილინგვური გაკვეთილის ხარისხი დამაკმაყოფილებელია”;

ე3: “თუ მასწავლებელს უსმენს მოსწავლეების უმრავლესობა, დაკავებულთა საერთო რაოდენობა უმრავლესობას შეადგენს, მხოლოდ ზოგიერთი ელოდება და მიმართავს მასწავლებლის დახმარებას, უმოქმედოთა რაოდენობა კი მაღალი არაა, მაშინ ბილინგვური გაკვეთილის ხარისხი დამაკმაყოფილებელზე მეტია”;

ე4: “თუ მასწავლებელს უსმენს ყველა მოსწავლე, დაკავებულთა საერთო რაოდენობა მაქსიმალურია, მასწავლებლის დახმარებას მოსწავლეები მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში მიმართავენ, უმოქმედონი არ არიან, მაშინ ბილინგვური გაკვეთილის ხარისხი წუნდაუდებელია”;

ე5: “თუ მასწავლებელს უსმენს მოსწავლეების უმრავლესობა, დაკავებულთა საერთო რაოდენობა ნახევარზე მეტია, ზოგიერთი მოსწავლე საკმაოდ ხშირად ელოდება და მიმართავს მასწავლებლის დახმარებას, მოსწავლეები კი უმოქმედონი არ არიან, მაშინ ბილინგვური გაკვეთილის ხარისხი სრულიად დამაკმაყოფილებელია”;

ე6: “თუ მასწავლებელს უსმენს მოსწავლეების უმრავლესობა, დაკავებულთა საერთო რაოდენობა ნახევარია, ზოგიერთი მოსწავლე საკმაოდ ხშირად ელოდება და მიმართავს მასწავლებელს დახმარებისთვის, უმოქმედო მოსწავლეების რაოდენობა კი მაღალი არაა, მაშინ ბილინგვური გაკვეთილის ხარისხი დამაკმაყოფილებელია”.

ჩამოყალიბებული წესები რეალიზებული იყო ნოტაციაში MATLAB/Fuzzy Interferences Systems, სადაც დაფიქსირებული დაკვირვებისთვის (ცხრილი #5) ინტერვალის ფარგლებში ბილინგვური გაკვეთილისადმი მოქმედთა შეფასების თვალსაზრისიდან მცირე ჯგუფების გარეშე სპეციალური დავალების შესაბამისად მიღებული იყო რიცხობრივი შეფასება 0,483.

დასკვნა

ცხადია, რომ ბილინგვური სწავლების სისტემა მოქნილი უნდა იყოს, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი მოსწავლეთა სწავლების ხარისხზე კონტროლის ეფექტურობის ხარჯზე თანდათან უნდა უმჯობესდებოდეს. სტატიაში შემოთავაზებულია ბილინგვური მეცადინეობის შეფასებისთვის ახალი, აუდიტორიის მთლიანობაში, მასწავლებლისა და

ჯგუფური მეცადინეობის დროს კონკრეტული მოსწავლის შეფასებისადმი არამკაფიო დასკვნის მექანიზმის გამოყენებაზე დაფუძნებული მიდგომა. მოცემული მიდგომა ვერბალური მოდელის სხვადასხვა პირობებისადმი ადაპტირებისა და, რაც ყველაზე მთავარია, ბილინგვური სწავლების სფეროში არსებული გამოცდილების გამოყენების საშუალებას იძლევა.

გამოყენებული ლიტერატურა

- ალიევი, 2005 - Алиев Роман, Каже Н. Билингвальное образование. Теория и практика. Рига, "RETORIKA A", 2005. – 384 с.
- ანდრეიჩიკოვი, 2000 - Андрейчиков А.В., Андрейчикова О.Н. Анализ, синтез, планирование решений в экономике – М.: «Финансы и статистика», 2000. – 368 с.: ил.
- ზადე, 1976 - Заде Л. Понятие лингвистической переменной и его применение к принятию приближенных решений. Математика. Новое в зарубежной науке: Пер. с англ./ Под ред. Н.Н. Моисеева и С.А. Орловского – М.: «Мир», 1976, 166 с.
- რზაევი, 2012 - Рзаев Р.Р. Интеллектуальный анализ данных в системах поддержки принятия решений. Verlag: LAP Lambert Academic Publishing GmbH & Co. KG, 2012.